ანტიოქიის პატრიარქმა იოანე X-მ რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელი და რუსეთის ელჩი მიიღო

სსკგ-ის საგარეო საეკლესიო კავშირების კომუნიკაციის სამსახური, 26.11.2022. 25 ნოემბერს დიდი ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის უნეტარესმა პატრიარქმა იოანე X-მ თავის რეზიდანციაში, დამასკოში, მიიღო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის არქიმანდრიტი ფილიპე (ვასილცევი) და რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სირიაში ა.ვ. ეფიმოვი.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს, ასევე, სირიის არაბთა რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის საელჩოს პირველი მდივანი ბოკოვ ტიმოთეი და საელჩოს მეორე მდივანი ოლეგ პოპკოვი.

სტუმრებთან მისალმებაში უნეტარესმა პატრიარქმა აღნიშნა, რომ მოხარულია იხილოს ერთობლივი წარმომადგენლობითი საეკლესიო და საერო დელეგაცია, – **იუწყება** დამასკოში რუსეთის წარმომადგენლობის საიტი.

უნეტარესმა მეუფემ დელეგაციის წევრებს სთხოვა, ძმური მისალმების სიტყვები გადაეცათ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრარქის კირილესთვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ანტიოქიის საპატრიარქო ზრუნავს ანტიოქიისა და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის კეთილი ურთიერთობის მხარდაჭერაზე.

ხანგრძლივი და შინაარსიანი საუბრის მსვლელობისას განიხილეს საკითხების ფართო წრე, დაკავშირებული ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის თანამშრომლობასა და თანამოქმედებასთან რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლობასა და სირიაში რუსეთის საელჩოსთან. უნეტარესმა პატრიარქმა ისაუბრა საერთაშორისო არენაზე რუსეთის ეკლესიისადმი მხარდაჭერაზე ანტიოქიის ეკლესიის მხრიდან, კერძოდ, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მოედანზე. მისმა უნეტარესობამ ასევე აღნიშნა მართლმადიდებელთაშორისი ერთობის განმტკიცების აუცილებლობა თანამედროვე მსოფლიოს რთულ ვითარებებში.

არქიმანდრიტმა ფილიპემ უნეტარეს პატრიარქ იოანეს საჩუქრად მიართვა ევქარისტული ჭურჭლის ნაკრები და დისკეტი ლიბანში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეტოქიონის მგალობელთა მიერ შესრულებული საეკლესიო გალობების ჩანაწერით.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89839/